№ 250. ხუთშაბათი, 10 ივლისი, 1896—1897 ხუთშაბათი, 10 ივლისი, № 250.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

თავ. მელიტონ გლახას ძე მიქელაძე შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებენ-რა გარდაცვალებასა პირველი საყვარელის მეუღლისას და მეორენი ძვირფასის დედისა

კნეინა მეტია მიქელაძისას,

(დაბადებით თავადის ასული მიქაძისა)
სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა, მობრძანდნენ განსვენებულის დაკრძალვაზედ **შაბათს, 12 ივლისს, დილის 10 საათზე, სოფ. წოდორეთში.**

პანაშვიდი განსვენებულის სულის მოსახსენებლად ყოველ დღეა.
(3—2)

კბილის საექიმო კაბინეტი
ვ. ი. ჭიჭინაძისა
16 ივლისიდგან ახალს სახლში იქმნება გადატანილი: მიხეილის ქ., № 81, სლივიცკის სახლი (იქ, სადაც კნინას მუსიკალური სკოლა იმყოფებოდა).

უმაღლესად დამტკიცებული საზოგადოება
აზოვის ზღვაოსნობისა
ამით საყოველთაოდ იუწყება, რომ ამ წლის თებერვლიდან გაიმართა **დრო-გამოშვებითი მორიგი მიმოსვლა საბარგო და მგზავრთა გემებისა ოდესა-ბათომს შუა.**
ფასი შემცირებულია როგორც ბარგზე, აგრეთვე მგზავრთათვის.
ოდესიდან გამოდის—სამშაბათობით და პარასკეობით 5 ს. ნაშუად.
ფოთში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით დილით 1 საათ.
ბათომში მოდის—კვირაობით და ოთხშაბათობით საღ. 10 საათ.
ბათომიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით დღ. 1 საათ.
ფოთიდან გადის—ორშაბათობით და ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ოდესაში მიდის—შაბათობით და სამშაბათობით დილის 10 საათ.
გემები გზა და გზა შეივლიან ოჩემჩირეში, სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთში, სოჭში, თუაფსეში, ნოვოროსისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში, სევასტოპოლში და ევპატორიაში.
ცნობებისათვის მსურველნი მიჰმართავენ:
ტფილისს—საზოგადოების აგენტს ი. ბ. რავკინს, ველიამინ. ქ., 3.
ბათომს — — — ი. მ. ვარშავსკის.
ფოთს — — — ა. დ. გუგუშვილს.
ВЫСОЧ. УТВЕР. О-во АЗОВСК. ПАРОХОДСТВА
Срочные товаро-пассажирскіе рейсы по удешевленному тарифу между Батумомъ и Одессой.
Справки у агентовъ О-ва: **Тифлисѣ**—І. Б. Рывкина, Велямин. 3. **Батумѣ**—Я. М. Варшавскаго и **Поти**—А. Д. Гугушвили.
(50—36)

გამოვიდა და იყიდება
წ. კ. გ. საზოგადოების და ქართველთა ამხანაგობის მაღაზიებში
გლეხი-კაცის ისტორია
ერკმან შატრიანისა
თარგმანი ფრანგულით ივ. მაჭავარიანისა
ფასი სამი აბაზი
კარგს ქაღალდზე ხუთმეტი შაური.
წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივად დაუთმობათ. (8—8)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.
ფასი მასალებისა მეტად იაფია
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—141)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:
ა. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.-საათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.
გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.
ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.
ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1\frac{1}{2}$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.
ი. ფ. პრიტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.
ა. შ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.
ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1\frac{1}{2}$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.
საღამოობით:
ი. ფ. პრიტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.
ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.
ბ. ა. ნავასარდიანი. $6\frac{1}{2}$—$7\frac{1}{2}$ საათამდე.
სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.
რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.
დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ბ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. .ბ თოფურია.** საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—**ფ. ქ. ზერატი.**
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
თვალების ავადმყოფობას—**ი. ძ. არშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
სამკურნალოს დირექტორი **ს. ბ. თოფურია.** (წ.)

მაქვს ატლასსა და აბრეშუმზე ფოტოგრაფიულად გადაღებული ცნობილ და გამოჩენილ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები
ბალიშის პირის გადასაკვრელი, ფანჯრების ფარდების მოსართავი,
პორტფელების სურათები და ფართფორზე დახატული სურათი.
აბაჟურები შვიდი და ოთხი სურათიანი.
აბრეშუმის ცხვირსახოცები.
წიგნის ჩასანიშნები მწერლების სურათებით.
ვღებულობ აგრეთვე ამ ხელობის შესასწავლებლად შეგირდებს, როგორც ვაჟებს, აგრეთვე ქალებსა.
დაკვეთა შეიძლება ყველა ზემოდ აღნიშნულ ნივთებისა შემდეგის ადრესით:
ტფილისი, პატარა განჯის ქუჩა № 5.
ა. როდიონოვისა.
(7—4)

ექიმი
უ. მ. ჩიქოვანი
ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

8 ივლისი.

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: საგანგებო ელჩი და მინისტრის რწმუნებული შვეციის მეფის წინაშე ზინოვიევი სულთანთან იქმნა დანიშნული ელჩად, ხოლო სულთანთან მყოფი საგანგებო ელჩი ნელიდოვი იტალიის მეფესთან იქმნა ელჩად.

ბაქო. მუსა-ნაგიევის ქარხანა და სადგური სულ მთლად დაიწვა. 600,000 ფუთი ნავთი გადაიბუგა. დაიწვა აგრეთვე ტარაევისა და იუზბაშევის ქარხანა. ცეცხლს მალე ჩააქრობენ.

პარიზი. მინისტრთა საბჭოში ლებონმა განაცხადა, რომ ტიმბუკტუდგან მდევრად წასული ცხენოსანი რაზმი მძარცველთაგან დამარცხებულ იქმნაო. მოკლულ იქმნა და სადღაც გაჰქრა საფრანგეთის ორი ოფიცერი და ორი უნტერ ოფიცერიო.

ლონდონი. „ტაიმსს“ აუწყებენ კონსტანტინეპოლიდგან: „თევფიკ-ფაშამ განუცხადა ელჩებს, რომ სულთანმა მშვიდობიანად მოლაპარაკების საქმეში მონაწილეობის მისაღებად ზეჰკი-ფაშა და საად-ედინ-ფაშა დანიშნაო. ელჩებმა უარი განაცხადესო“.

კონსტანტინეპოლი. ტევფიკ-ფაშამ ელჩებს მშვიდობიანად მორიგების პროექტი წარუდგინა. ამ პროექტში ოსმალეთი თხოულობს, რომ საზღვარი სალაბრიასა და ხერიაზედ იქმნას გატანილი და $4\frac{1}{2}$ მილიონი სამხედრო კონტრიბუცია გადიხადოს საბერძნეთმა, ე. ი. ნახევარ მილიონით იმაზე მეტი, რაც ელჩებმა გადასწყვიტეს და კვალად ითხოვს, რომ კაპიტულიაცია ახსნილ იქმნას.

ლონდონი. კერზონმა განაცხადა: ინგლისს კორეაში დიდი ვაჭრობა არა აქვს. ერთად-ერთი აზრი ინგლისისა ის არის, რომ კორეა დამოუკიდებელად დარჩეს და რუსეთს არ შეუერთდეს არც ადმინისტრატიულად და არც თუ ტერრიტორიულად... სომხეთში დიდს გაჭირვებას ჰგრძნობს ხალხი. ოსმალეთის მოხელე ხალხი და მათთან ერთად სალმწიფონი იმასა სცდილობენ, რომ როგორმე შემწეობა და დახმარება აღმოუჩინონო.

კანონი და მთავრობის განკარგულება.

თბილისის სასულიერო სემინარიის სამმართველოსაგან.

ნუსხა შესამოწმებელის მისაღების გამოცდებისა თბილისის, გორის, თელავის და კავკასიის სასულიერო სასწავლებლების იმ მოწაფეებისა, რომელთაც ჰსურთ თბილისის სასულიერო სემინარიის პირველს კლასში შესვლა.

20 მარიამობისთვეს, ოთხშაბათს—გამოცდა რუსულს თხზულებაში.

21 მარიამობისთვეს, ხუთშაბათს—ქართული ენა და ძველი (ბერძნული და ლათინური) ენები.

22 მარიამობისთვეს, პარასკევს—არითმეტიკა (ანგარიში).

23 მარიამობისთვეს, შაბათს—კატეხიზმო.

25 მარიამობისთვეს, ორშაბათს—გეოგრაფია.

26 მარიამობისთვეს, სამშაბათს—საღმრთო ისტორია ძველის და ახალის აღთქმისა.

27 მარიამობისთვეს, ოთხშაბათს—საეკლესიო ტიპიკონი.

28 მარიამობისთვეს, ხუთშაბათს—საეკლესიო-სლავიანური და საეკლესიო ქართული გალობა.

1 ენკენისთვეს, ორშაბათს—რუსული და საეკლესიო-სლავიანური ენები.

ახალი ამბავი

⁂ ცვლილება სახელმწიფო გარდასახადისა ჩვენში. აწ მიღებული წესი სახელმწიფო გარდასახადისა, ანუ ჩვენებურად ფოსტის ფულისა, კავკასიაში არის ნაანდერძევი ძველისძველი დროისა და აღარ შეეფერება ახალ-დროის მოთხოვნილებას. ფოსტის ფულს არავითარი კავშირი არა აქვს კაცის სიმდიდრე-სიღარიბესთან,

ეროვნული

არც იმათთან, თუ რაოდენი მამულ-დღეულის პატრონია მოხარჯე. აქედამ წარმოსდგება ის უსამართლობა, რომ მდიდარი და ღარიბი, დიდი მამულის მქონებელი და ბოგანი ერთნაირად იხდიან ხარჯს. ასეთი წესი გარდასახადისა სამინისტროს მიერ ცნობილ იქმნა უხერხულად და განზრახვა აქვს შეცვალოს და შემოიღოს გარდასახადი, დამყარებული მამულის რაოდენობაზე.

⁂ **თავადის ასულის წულუკიძის მოტაცების საქმე**, რომელმაც მთელი იმერეთი ააყაყანა ამ ხუთიოდე თვის წინად, დანიშნულია გასარჩევად ქუთაისის საოლქო სასამართლოში ამ თვის 18-ს.

⁂ **სადგომების ხარჯი ახალის აწერით.** გაზ. „პრავ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია, რომ 1898 წლის 1 იანვრიდგან შემოიღება ახალი ხარჯი სადგომი სახლების გარდასახადი. ეს ახალი განკარგულება, დამტკიცებული უმაღლესად 5 მაისში 1897 წ., იმაში მდგომარეობს, რომ ყველა ქალაქები და დაბები დაყოფილია კლასსებათ. პირველ კლასს ეკუთვნის მარტო პეტერბურგი და მოსკოვი, მეორე კლასს 12 ქალაქი (მათში 5 საგუბერნიო, 3 საგრადო-ნაჩალნიკო და 3 სამაზრო); მესამე კლასს 54 ქალაქი (19 სამაზრო და დაბები. დანარჩენი საგუბერნიო); მეოთხე კლასს 144, მეხუთეს—535 ქალაქი. მთელ იმპერიაში სადგომი სახლების ხარჯი აიწერება 747 ქალაქსა და დაბებში. რომელ კლასს ეკუთვნიან ჩვენი საქართველოს დაბა-ქალაქები, ჯერ არ ვიცით და შეტყობისთანავე გავუზიარებთ მკითხველებს

⁂ **ნავთლუღის ხიდი.** ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა პროექტი და სავარაუდო ანგარიში ნავთლუღის ხიდისა. ხიდი უნდა გაკეთდეს წმ. ბარბარეს ეკკლესიის მახლობელ ღელეზედ და შეაერთებს ეიტერის ქუჩას მამუკინის უბანთან. ამ ხიდის გასაკეთებლად გამგეობისაგან უკვე გადადებულია 3,500 მან.

⁂ **მეტივეების თხოვნა.** ტფილისის მეტივეებმა მიჰმართეს თხოვნით კავკასიის მთავარ-მართებელს და სთხოვეს: ნულარ გადაახდევინებენ ხარჯს ქ. ტფილისის სასარგებლოდ მტკვარზედ ტივების ჩამოტანაშიო.

⁂ **ინჟენერ ოიდის ჩამოსვლა პეტროვსკში.** ამ დღეებში პეტროვსკში ჩამოვიდა ბელგიელი ინჟენერი ოიდი, რომელმაც დაიარა კავკასიის ყველა ის ადგილები, სადაც ნავთის მადნები ჩნდება და არიან. პეტროვსკიდგან ინჟენერი ბაქოში ჩავა და ბაქოდგან წამოვა ბათომს, სადაც სუფსის ახლოს ბელგიელებს უკვე დაუწყიათ მუშაობა ნავთის გამოსაჩენად.

⁂ **სოხუმში პროგიმნაზიის დაარსების განზრახვა.** გაზეთს „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ სოხუმიდან, რომ იქაურს თავად-აზნაურობას განზრახვა აქვს აღძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე პროგიმნაზიის დაარსებაზე. იქაურს თავად-აზნაურობას შეგნებული აქვს, რომ ასეთი საქმე მათი უსაჭიროესი მოთხოვნილებაა და დიდი ხანია ელიან მის განხორციელებას. ეხლა სოხუმში ითვლება ას-ათი-ათასი მცხოვრები და არც ერთი რიგიანი და საჭიროებათა დამაკმაყოფილებელი სასწავლებელი არ არსებობს. იქაური სამთო სასწავლებელი მხოლოდ ორკლასიან ნორმალურ მასწავლებელს უდრის. სოფლის სკოლების რიცხვი მეტად ნაკლებია მთელს ოლქში; მხოლოდ ხუთი სამინისტრო და ამდენივე სამრევლო სკოლა არსებობს. მცხოვრებლებს-კი, რომელნიც გრძნობენ სწავლის საჭიროებას, არა აქვთ ნივთიერი შეძლება, რომ შვილები მისცენ სასწავლებლად ქუთაისში და ბათომში.

თავად-აზნაურობა დაიმედებულია, რომ მათი შუამდგომლობა შეწყნარებული იქნება, მით უფრო, რომ მათ აქვთ უკვე მზად საჭირო თანხაც: 1) დანარჩენი უმაღლესად ნაბოძები ფულისა აფხაზების თავად აზნაურთათვის გლეხების განთავისუფლებისათვის, რომელიც 1882 წელს 105 ათას მანათს ედრებოდა, და 2) 20 ათასი მანათი, რომელიც თ. დ. ს. ჭავჭავაძემ უანდერძა სამურზაყანოს. ეს ორთავე თანხა, მათის აზრით, ეხლა სარგებლით 200 ათასამდე გაიზრდებოდა. საფიქრებელია, რომ ქ. სოხუმი არ დაიშურებს ერთბაშ შეწირვას შეძლების დაგვარად და შემდეგშიც დაუნიშნავს ყოველ წლიურ შესაწევარს. სულით და გულით ვუსურვებთ სოხუმელებს ამ საჭირ-ბოროტო საქმის მალე განხორციელებას...

⁂ **გზათა მინისტრის მოგზაურობა კავკასიაში.** გზათა მინისტრი თ. მ. ი. ხილკოვი და ფოსტის გზებისა და წყალის დეპარტამენტის დირექტორი დ. ი. ანდრიევსკი 8 ივლისს, საღამოთი, გამომგზავრებულან კავკასიაში ნოვოროსიის ნავთ-სადგურის და კავკასიის რკინის გზების დასათვალიერებლად და აგრეთვე სხვა-და-სხვა ადგილას გასაყვან რკინის გზების საქმის თაობაზე.

⁂ **ეტლების დასადგომი მოედანი ტფილისის რკინის გზის სადგურთან.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ დაადგინა: მოიკირწყლოს ასფალტით ტფილისში და განჯაში ეტლების დასადგომი მოედანი რკინის გზის სადგურებთან შმორისა და ცუდის სუნის ასაცილებლად.

⁂ **ლექციები აბრეშუმობაზე და მეურნეობაზე.** 6 ივლისს, სააბრეშუმო სადგურიდგან „კავკასიის სატყეო მმართველობაში“ წავიდნენ აბრეშუმობაზედ ლექციების მსმენელნი—სოფლის სკოლების მასწავლებლები და რამოდენიმე გარეშე პირებიც, მათ რიცხვში იყვნენ: 1 იმერელი, 1 ქართლელი, 1 დერბენდელი სომეხი და სხვა რუსები. კურსისტებმა დაათვალიერეს ტყის მოხელის ვას. ლისნევსკის ნაშრომი—მთა-ადგილებზედ ტყის გაშენება—შემდეგ ბ. ლისნევსკიმ წაუკითხა მსმენელთ თავისი ნაწერები მისი ნამოქმედარის შესახებ.

7 ივლისს, კურსისტები წავიდნენ ტფილისის საუფლისწულო სარდაფის განყოფილებაში, სადაც სარდაფის გამგემ, ბ. გოგოლ იანოვსკიმ, დაათვალიერებია, როგორც ეტყობოდა, მისთვის სასიამოვნო სტუმრებს ყველა სარდაფის განყოფილებანი და რამოდენიმე წუთი კურსისტების იქ ყოფნის დროს მოანდომა მეღვინეობის შესახებ სასარგებლო ცნობათა გაზიარებას, რის შემდეგ ყველანი მიიწვია თავის კაბინეთში და გაასინჯა რამოდენიმე ნაირი 3—10-მდე წლის ღვინო. შემდეგ დაურიგა ყველას თავისი შედგენილი წიგნი „ვენახები და მეღვინეობა საფრანგეთში და გერმანიაში“ (Виноградники и винодѣліе во Франціи и Германіи), ღირებული თითო მანათად. ამასთანავე სთქვა, რომ თუ ვინმესთვის საჭირო იქნება ღვინის შესახებ რამე ცნობა, დიდის სიამოვნებით მოგახსენებთო, რისთვისაც ბ. გოგოლიანოვსკიმ სტუმრებისაგან დიდი მადლობა მიიღო. 8 ივლისს, საღამოს, კურსისტები გაემგზავრებიან ბოტანიკურ ბაღში.

⁂ **სამეურნეო ლექციები სამრევლო სკოლის მასწავლებელთათვის.** 7 ივლისს, ტფილისის საბაღოსნო სკოლაში შეიკრიბნენ სოფლის სამრევლო სკოლების მასწავლებლები სემინარიის რექტორის წინამძღოლობით და სამრევლო სკოლების ინსპექტორის, ტატიშვილის, სემინარიის მასწავლებლის ფერაძის და სხვების თანადასწრებით. ტფილისის საბაღოსნო სკოლის მმართველმა, პ. ს. კრავჩენკოვმა წაიკითხა ლექცია ბოსტნეულობაზედ, მებაღოსნე ტურჩინსკიმ—ხილეულობაზედ და მევენახეობაზედ.

დილის შვიდი საათიდგან თორმეტამდე (თითო საათის შემდეგ დასვენებით) და ოთხის (ნაშუადღევის) ნახევრიდგან შვიდის ნახევრამდე რამოდენიმე დღის განმავლობაში ნიადაგ იქნება ლექციების კითხვა საბაღოსნო სკოლაში მეურნეობაზედ სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის.

⁂ **უპატენტოდ ღვინის ყიდვა.** სირაჯხანაში, სადაც ყაფნებია, ამ ბოლოს დროს გახშირდა ღვინის ვაჭრობა უპატენტოდ, რის გამო ნამდვილ სირაჯებს დიდი ზარალი ეძლევათ, ყველგან ბოჭკები უწყვიათ და უჩუმრად ჰყიდიან ღვინოს. სასურველია, რომ ამ გარემოებას შესაფერი ყურადღება მიაქციონ გამგეობის აგენტებმა და პოლიციამ.

⁂ **ამქრების ჩივილი.** ზოგიერთი ამქრები სჩივიან მაზედ, რომ როცა განსვენებული თავ. ნ. ზ. ჭავჭავაძე ტფილისიდგან ამქრებით გააცილეს, განსვენებულის რწმუნებულს თავ. დ. ზ. მელიქიშვილს გარდაუცია ამქრების მოურავისათვის ფულები და ეს ფული დღემდე არავინ იცის სად არის. სასურველია, რომ ეს საქმე გამოირკვეს და მით დაამშვიდონ ამქრები.

⁂ **ახალი ფრანგული წიგნი.** ჩვენ მივიღეთ ცნობილ ჟულ მურიესაგან მის მიერ საფრანგეთში გამოცემული წიგნი h'art du Caucase (კავკასიის ხელოვნება). მთელი თხზულება გამოცემულია ექვს პატარა წიგნაკად. წიგნები მშვენივრად არის გამოცემული, როგორც შეეფერება საზოგადოდ პარიზის გამოცემებს. წიგნები დასურათებულია მრავალის ნახტებით ჩვენის ძველი ეკკლესიებისა, მონასტრებისა და ძველ ნაშთებიდან. სურათები საგანგებოდ არის დაბეჭდილი, ნამეტნავად ხატები და ძველებური ჩუქურთმები და ხელოვნური ნაკეთობა. ეჭვი არ არის, საფრანგეთში დიდი მკითხველები ეყოლებოდა ბ-ნ მურიეს წიგნებს, ვითარცა ევროპიელთათვის საინტერესო და ჯერ უცნობ საგანს.

⁂ **ჯარში გასაყვანთა რიცხვი ქუთაისის გუბერნიაში.** წელს ქუთაისის გუბერნიაში მოწოდებულია კენჭის საყრელად 8593 კაცი, ხოლო ამ რიცხვიდან ჯარში ჩარიცხულ იქმნება 1527 ყმაწვილი კაცი.

⁂ **რუსეთის ნახშირი ოსმალეთში** თანდათან, თურმე, უფრო გზას იკვლევს. ოსმალეთში ქვის ნახშირი მომეტებულად ინგლისიდან მოჰქონდათ ხოლმე, ეხლა-კი ოსმალეთში რუსეთის ქვის ნახშირის საწყობები 36 მეტია. მომეტებულად ნახშირი მოაქვთ დონეცკის თემიდან. თუ რუსეთის ქვის ნახშირმა ბაზარი დაიმკვიდრა ოსმალეთში, სრული იმედია, რომ ჩვენებური ნახშირიც ფასში გავა, თუ-კი გადატანის ფასი როგორმე შემცირდა, მეტადრე ჩვენ ამიერ კავკასიის რკინის გზაზე.

⁂ **კიდევ ახალი სამრეწველო ამხანაგობა „ნარდის“.** ზოგიერთ ბელგიელ და რუსეთის კაპიტალისტებს ამხანაგობა შეუდგენიათ სხვა-და-სხვა ამიერ კავკასიის მთა მადნეულობის საწარმოებლად. თხოვნა უკვე მიუციათ მთავრობისათვის.

⁂ **ბურია. ტფილისიდან ბახვამდის.** 8 საათი შესრულდა. მატარებელი დაიძრა და ჩვენ შევუდექით გზას. ვაგონებში ხალხი ძლივს ეტეოდა. ხაშურს იქით თავისუფლათ ამოვისუნთქეთ, რადგანაც იქ ვაგონები ცოტათ თუ მეტათ დაცარიელდა. ზოგიერთებმა ისარგებლეს ამით და გაიშხლართენ სკამებზე; წუთიც და ხვრინვაც ამოუშვეს. ჩემთან მოგზაურობდენ ხუთი ახალგაზდა ჩოხოსან-ხანჯლოსან-ხმლოსნები. ერთს მათგანს ძილი მოუნდა, და რადგანაც თავისუფალი ადგილი ვერსად იშოვნა, იმ ვაგონის კონდუხტურს, რომელიც მაშინ სანთლებს აჩაღებდა, ასე მიმართა: "ეი, შენ, ესენი გაადვიძე, თორემ იცი რას გიზამ“. უკანასკნელმა ვერ აუსრულა მას ბრძანება, ხმლოსანი ზეზე წამოხტა, ხელი ხმალზე დაივლო და გინება დაუწყო. კონდუქტორმა მოიყვანა უფროსი კონდუქტორი. ამ უკანასკნელს და ხმლოსანს შუა შეიქნა ქართულ-რუსულობა, ვაი-ვაგლახი და ალიაქოთი. მოაწყდა ხალხი სხვა ვაგონებიდან, ამ ვაჟბატონის წყალობით აღარ გვქონდა ყურთა სმენა. სხვა ხმლოსნები კი აქეზებდენ მას. როგორც იყო ბ-მა უფროსმა კონდუქტორმა ჩალაგმა ეს უაზრო სიტყვების მფრქვეველი რაინდი.

ს. ყვირილაში უბილეთო მოგზაურები შეაჩერეს. იყვნენ რვა კაცნი. ამ რვაში ერთი უბილეთო ჩამომხტარიყო და გაპარულიყო. მის მაგიერ დაიჭირეს ერთი ტფილისელი, რომელიც მოგზაურობდა ყვირილის შემდეგს სადგურამდის, და რომელსაც კანდუქტორებმა ბილეთი გამოართვეს. მეც კარგათ ვიცი, რომ იმ კაცს ბილეთი ჰქონდა, ბ-მა ესებუამაც უთხრა ს. უფროს და კანტროლს, რომ მე მაგას ეხლა გამოვართვი ბილეთიო, მაგრამ მას არ დაუჯერეს. უდანაშაულო ძალას დაადგა, მარა პასუხათ მუჯლუგუნები მიიღო კისერში.—„ვა, ვა, ზაჩემ აბიჟაეტ მენია“—მარა არ დაუჯერეს საცოდავს. კანტროლი იძახოდა: „ჩემთვის სულ ერთია, 8 კაცი უნდა დარჩეს, სხვას არას დავეძებო.“ სადგურზე ხალხი ბლომად მოგროვდა. ეხლა სადგურის უფროსმა ჟანდარმებს უბრძანა—გარეკეთ ეს ხალხიო, იმათ ჩვეულებისამებრ კინწის კვრით გაფანტეს ხალხი.

საჯავახოშიც მივედი. აქ „ფაეტონში“ უნდა ჩავმჯდარიყავ. ეტლები ბლომად იყვნენ. მართალი რომ ვსთქვათ, ეტლები კი არა, ეტლის მზგავსები, რომლებშიაც ებათ ძვალტყავა ცხენების აჩრდილები.

„მანათი“, მანათიო“! გაიძახოდენ მეეტლეები. ძალა უნებურათ დავსთანხმდი. გავსწიე ჩოხატაურისაკენ (სახელგანთქმული დაბაა). ჩოხატაურ-საჯავახოშუა 18 ვერსია. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ვიქნებოდი, როდესაც ეტლის გადაბრუნებას ყოველ წუთს მოველოდი. თავ ბრუ მეხვეოდა შიშისგან. ამ შოსეს მოიჯარადრების წყალობით წუთისოფელს კინაღამ გამოვესალმე. გზას სრულებით არ აკეთებენ, „ფარას სალარო“ კი დააცარიელეს. შორი ახლოდან ჩოხატაურელი ბაყაყების ყიყინი მომესმა. (თუ არ ეს ბაყაყები, ჩახატოურლები ამდენს ხანს დაძინებულნი იქმნებოდნენ სალათას ძილით. ისინი შეადგენენ აქაურს ორ კესტრიონს, რომელიც არ ჩამოურჩება ჩინეთისას.)

ბიბლიოთეკის აივანზე ავედი, დაკეტილი დამხვდა, ფანჯარაში შევიხედე; წიგნები, სკამეში არეულია ერთმანეთში. ეს რა ამბავია, ვთქვი ხმადაბლა. პასუხი მომესმა „ოთხ—თვეზე მეტია, რაც დახურესო“! არ ვიცოდი, ვინ მელაპარაკებოდა, შიგ შევიხედე, თაგვები ბლომად დავინახე. აქ არსებობს ერთ კლასიანი სკოლა. ნეტა როდის გადაკეთდება ეს ორ-კლასიანად; არ იფიქროთ ჩოხატაურლები ღარიბები იყვნენ. მთელი ზემო გურიის სიმდიდრე იმათ ჩაიგდეს ხელში. ეს ეკადრება იმ ჩოხატაურს, რომელშიაც არსებობს საავათმყოფო, აფთიაქი, ფოსტა, მომრიგებელი სასამართლო, სადაც ცხოვრებენ შუქის მომფენე, „დიმიტრეები“ და ბოქაული ბ-ნი გ. ჟღენტი! გავცდი ცოტა ჩოხატაურს, თვალთ-წინ წამომიდგა ვეებერთელა პარკთ-საწყობი. მისი პატრონი ბათუმელი სომეხია. ნოქარმა მითხრა ათას ოთხასი (1400) ფუთი პარკი გვაქვს ნაყიდიო. უყიდნიათ 9—10—11 მანათად ფუთი. გავსწიე ბახვისაკენ. გავიარე ს. ჯვარცხმა, დ. ხიდისთავი, ს. ბასილეთი, ასკანა და ბახვშიც წავედი. ყველა ამ ზემოდ ხსენებულ სოფლებში და დ. ხიდისთავში არსებობს ორ-კლასიანი სკოლები და სამკითხველოები. (ჯვარცხმაში არ არის ჯერ-ჯერობით ბიბლიოთეკა, მაგრამ, იმედია, გაიხსნება).

ამ საქმის სისრულეში მოყვანა შეუძლიათ სოფლის სკოლის მასწავლებლებს. ბბ. გ. ზაზაროვს და ს. წაქაძეს; აგრეთვე აქაურს მცხოვრებს ბ. გ. ჟღენტს.) როგორც ხედავთ ამ სოფლებს ეტყობათ წინ-სვლა; დ. ჩოხატაურს უკან-სვლა. შვიდობით დ. ჩოხატაურო! სალათას ძილით დაძინებულო ჩოხატაურო! მგონი, ნანინათ გეჩვენებათ ბაყაყების ყიყინი. არ შეიძლება სხვათა შორის არ ვთქვათ ის, რომ. ბ. გ. შარაშიძე ცდილობს ბიბლიოთეკის ხელახლად გახსნას დ. ჩ-ში. დიდი მადლობის

ღირსი იქნება ბ-ნი გ. შ ძე, და თუ ამანაც აიღო ხელი ამ საქმეზე, მაშინ-კი ჩოხატაურლების ხვრინვა თფილისის მცხოვრებლებსაც შეაწუხებს.

ს—ელი.

⁂ **ქარელი** (ქართლი). **გაუნათლებლობა და უმეცრება.** ქარელი არის საუკეთესო სოფელი გორის მაზრაში. ქარელის საზოგადოება შესდგება რამდენიმე სოფლიდგან, რომელშიაც ითვლება 900 კომლი. ამ რიცხვში თავადნი (ციციშვილები) და აზნაურნი 60 სახლობამდე იქნებიან. მარტო თვი. ს. ქარელში 400 კომლი ითვლება და განა ამოდენა სოფელს არ შეუძლიან, რომ წიგნთსაცავი და სამკითხველო იქონიოს და გაავრცელოს წერა-კითხვა საზოგადოებაში? როდესაც ყველა კუთხეებიდგან გვესმის, რომ ამა და ამ სოფელში გახსნეს სამკითხველოვო, ამა და ამ სოფელში გახსნეს ერთი და ორ-კლასიანი სასწავლებელიო და როდესაც ყველა და ყველგან სცდილობენ შეძლების დაგვარად წერა-კითხვის გავრცელებას, ქარელები-კი მარტო შენატრიან მათ და თვითონ მხარ-თეძოზედ გორავენ...

თქვენი მტერი იყოს ამ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც ქარელები არიან ჩავარდნილი უპატრონობის გამო. განათლებას არავითარი ნიშანი ვერ დაუდვია აქაურ გლეხ-კაცზედ. ასე გასინჯეთ, რომ რიგიანად პირჯვრის დაწერაც არ იციან. რათ არიან ქარელები ასეთი გაუნათლებლები? განა პატრონი არ ჰყავთ, რომ უპატრონონ და გაანათლონ საწყალი გლეხ-კაცი, რომ გამოვიდნენ ქვეყანაში და გაიგონ რამე? რა ბრძანებაა! პატრონნი ბევრი გახლავთ, მაგრამ რად მინდა ისეთი პატრონი, თუ გაჭირვებაში ხელს არ გამომიწვდენს, ავს და კარგს არ მიჩვენებს და კეთილ გზაზედ არ დამაყენებს? იქნება ვინმემ იფიქროს, რომ შეუძლებელია აქაურმა კაცმა პირჯვრის დაწერა არ იცოდესო, მაგრამ, საუბედუროდ, ბევრს შეხვდებით მაგისთანა კაცს.

მაგალითად: წარსულ მაისს, მათი ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ვლადიმირი რომ ბრძანდებოდა ქარელში, ერთ გლეხს უბრძანა პირჯვრის დაწერა და მამაო ჩვენოს თქმა, მაგრამ, თქვენი მტერი, ლოცვა-კი არა, პირჯვრის დაწერაც არ იცოდა... ვინ არის ამაში დამნაშავე? ვინ უნდა იყოს? ოვით ის გლეხია, რომ გაუნათლებელი და ტეტია იყო და არა იცოდა-რა.

რასაკვირველია,—მაგრამ, ახლა მაინც პატრონობა გაუწიოთ და იმდენი ვეცადოთ, რომ მათ შვილებს ცოტაოდენი განათლება მივცეთ, რომ ისინი მაინც ყოვლად უცოდინარი ტეტიები არ გამოვიდნენ.

ეს ხომ ვიცით: „ისა სჯობიან მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასა“, მაშ ეხლა მაინც შეუდგეთ ჩვენს მოვალეობას და გავაუმჯობესოთ სწავლა-განათლება ქარელში. სართალია, მარტო ერთ-კლასიანი სასწავლებელი გვაქვს, მაგრამ ვეცადოთ, რომ იქ მაინც სწავლა უკეთესათ იყოს დაყენებული და წიგნთ-საცავით მივაშუროთ, რომ ვინც ეხლა იცის წერა-კითხვა, იმათ მაინც არ დაივიწყონ.

თავადი.

⁂ **ქ. ბათუმი. ქუჩაში რევოლვერის სროლა.** აი კიდევ მეორე შემთხვევა, რომელიც მოხდა 6 ივლისს, დილით. აქ ყავახანის წინ შეგროვილან რამოდენიმე ყმაწვილ-კაცები და ყავას სვამდნენ. ქუჩა თითქმის ხალხით იყო სავსე, რადგანაც ლაპარაკი მოსვლიათ ამ ყმაწვილ-კაცებს. სხვათა შორის ამ ქუჩაზედ გამოიარა ერთმა მანდილოსანმა, რომელიც ჩქარის სიარულით მიდიოდა. ამ მანდილოსნის დანახვაზედ ერთმა ყმაწვილ კაცმა (როგორც ამბობენ ვ. გ—ბ—ამ), ამოიღო რევოლვერი და გაისროლა იქითკენ, საითაც მანდილოსანი მოდიოდა. ტყვია ამ მანდილოსანს ერთის არშინის სიმაღლეზედ ასცდა. მანდილოსანმა ტყვიის ზუზუნი რომ გაიგო, თითქმის გული წაუვიდა, მაგრამ გრძნობა მალე მოიკრიბა და მიმართა პოლიციელს, რომელიც იქვე ახლოს იდგა, შემდეგის სიტყვით: თქვენ რისთვის სდგეხართ აქ, თუ ამისთანა კაცებს ყურადღებას არ მიაქცევო. გთხოვთ, ეხლავე პოლიციაში წაიყვანოთ, თუ არა პოლიცმეისტერს შევატყობინებ, რომ თქვენ ამისთანა კაცებს ყურადღებას არ აქცევთო. პოლიციელმა მაშინვე მიმართა იმ ვაჟბატონს, რომელმაც რევოლვერი გაისროლა, მაგრამ ის პოლიციელის ნაცნობი გამოდგა. აბა ნაცნობ კაცს როგორ წაიყვანდა პოლიციაში? მხოლოდ ეს უთხრა პოლიციელმა: ლადო, როგორ შეიძლება შუა ბაზარში რევოლვერის გასროლა. ხომ ხედავდი შენის თვალით, რა მითხრა მანდილოსანმაო. მე აბა, როგორ უნდა წაგიყვანო პოლიციაში, როდესაც ერთად პურ-მარილი ბევრჯერ გვიჭამიაო! კარგი და პურ-მარილი რომ არ გვჭამა, მაშინ შეგეძლო შენ ჩემი წაყვანა პოლიციაშიო?—შეეკითხა რევოლვერის გამსროლელი. რასაკვირველია, შემეძლოო, უთხრა პოლიციელმა. ამ დროს ერთბაშად იელვა ხანჯალმა და ის იყო უნდა გამოესალმებინა ის პოლიციელი ამ წუთისოფლისათვის. რაკი დაინახეს ამხანაგებმა ხანჯალ-ამოღებული, მაშინვე ეცნენ, სტაცეს ხელი ხანჯალს და უნდოდათ წაერთმიათ ხანჯალი, მაგრამ იმან ჩასჭიდა მაგრა ხელი ხანჯალს და არავის დაანება. იმათში ერთი ყმაწვილი კაცი თავ-გამეტებულად მივიდა და შეეხვეწა: ლადო! შენიჭირიმე, შეინახე ეს ხანჯალი, თუ, არა პოლიციაში წაგიყვანენ და მაშინ ვინ გამოგიხსნისო. შენ არხეინად იყავი, მე ვერავინ ვერ დამიჭერს, რადგანაც ყველა პოლიციელები მიცნობენო, უთხრა ხანჯლიანმა და კინაღამ გამოფაშა. აი ასეთი ამბავი ხშირად ხდება ჩვენში. ვინ იცის, რამდენი ცუდი კაცები ცხოვრობენ ზოგიერთ ყავახანებში: კაცის მკვლელი, ქურდი, ყაჩაღი და სხვა რამდენი—ვინ ჩამოთვლის...

სასურველია, რომ სასტიკი ყურადღება მიაქციოს პოლიციამ ამ ყოველგვარ სიბოროტის ბუდეებს—ყავახანებს—და ცოტათი მაინც უპატრონოს აქაურ მკვიდრთ...

კ. ოდიშარია.

⁂ **ს. მეტეხი** (ქართლი). **ცრუ ექიმი და ცრუ ექიმის მსხვერპლნი.** აქაურმა მცხოვრებმა გლეხმა შაქარა ოდოშაშვილმა, აპრილის პირველ რიცხვებში, ქ. ტფილისიდამ მოიყვანა ვიღაც შინაური ექიმი („უდიპლომო დოხტური“) ალექსანდრე აბაზიანცად წოდებული (თუმცა აბაზაძედ ირქმევდა გვარს). ეს ოდოშაშვილი დიდი ხანია ქარებით ავადმყოფობდა, ტფილისში ბევრმა ექიმებმა გაშინჯეს, მაგრამ ვერა უშველეს-რა. ბ-ნი აბაზიანცი-კი შეჰპირებოდა უეჭველად მოგარჩენო. ორი კვირის წამლობის შემდეგ ცოტა შვება იგრძნო შაქარა ოდოშაშვილმა, რასაკვირველია, მეზობლებშიაც დაიწყო ლაპარაკი, ქალაქის ექიმები სულ შევაჯერე, მაგრამ ამის მეტმა ვერავინ მიშველაო. ჩვენმა სოფლელმა ხალხმა, ვისაც-კი რამ სატკივარი ჰქონდა ყველამ აბაზაძეს მიაშურეს: არიქა ქალაქიდგან მოსულა „დოხტური“ და რა სატკივარიც გინდა, ყველას არჩენსო... აბაზაძემაც, რა დაინახა ბლომა მუშტარი თავის გარეშემო, საქმე შორიდან დაიჭირა, „ჩემი წამალი მართალია ძვირია, მაგრამ რა ნაირი ავადმყოფიც უნდა იყვეს, მოვარჩენო, აი თუნდა ეს ოდოშაშვილი, სულ შეაჯერა ქალაქის „დოხტურები“, მაგრამ ჩემს მეტმა ვერავინ უშველაო.

საწყალმა გლეხებმაც დაუჯერეს აბაზაძეს და ვისაც-კი რამ სატკივარი ჰქონდა, ყველამ წამლობა დაიწყეს, მომეტებულმა ვალიც აიღო და ამ თავით მი'ცეს, რადგანაც აბაზიანცი ამტკიცებდა ჩემი წამლის შეძენა ძალიან ძვირად მიჯდებაო. საკვირველი ის არის, რომ აბაზაძე ყველა ნაირ ავადმყოფს ერთ ნაირ წამალს აძლევს: თიადორა იქნება, ბნედა თუ ქარი, იმისთვის ეს სულ ერთია და აი ამ წამლების წყალობით ორი ადამიანი კიდეც გაისტუმრა საიქიოს, რომლებსაც შეიძლება კიდევ დიდხანს ეცოცხლათ.

აი თვით ის ხალხიც, რომლებსაც აბაზიანცი სწამლობდა და რომლებიც მორჩენის მაგივრად ზოგი მოკვდა და ზოგსაც უფრო გაუჯდა ავადმყოფობა 1) შაქარა ოდოშაშვილი, 2) ჩიტა ოდოშაშვილის მეუღლე, 3) ანნა ოდოშაშვილისა (მოკვდა) 4) აზმა იფერაშვილის მეუღლე, 5) ქალი ლომისაშვილისა, 6) ესტატე ლალიაშვილის ცოლი (მოკვდა), 7) აბრამა ლალიაშვილის ვაჟი (მოკვდა), 8) ბაბო ბოგვლიშვილისა და კიდევ ორნი, რომლების ვინაობასაც არ ვაცხადებ.

ამ ხალხს ბ. აბაზიანცმა დასტყუვა სულ ერთად 125 მანათი, რომელიც სოფლელი ხალხისთვის კარგს თანხას შეადგენს; მაგრამ, ასე გასინჯეთ, „უდიპლომო დოხტური“ ამასაც არ დასჯერდა და ოქრო მჭედლობა დაიჩემა, რამდენსამე გლეხს ოქროს სამაჯური და ბეჭდები-ც-კი მიუციათ, ვითომდა გადასაკეთებლად. წამოსულა აბაზიანცი ტფილისში წამლების წასაღებად (ნამდვილად-კი თავის მოსაფარებლად) და მაშინვე სახლი დაუცლია. უცადეს სოფლელებმა ერთი კვირა, მეორე, მესამე, მაგრამ სად არის; თქვენც არ მომიკვდეთ, აბაზაძემ იქით პირი აღარა ქნა. ბოლოს, რომ ლოდინში ილაჯი გაუწყდათ, ამ თვის პირველში გაგზავნეს ქალაქში ზაქარა აზმაიფერაშვილი: „ნახე ი ჩვენი „დოხტური“ თვითონ ხომ არ გახდა საწამლებლათაო?

ჯერ იმას ეძებნა ბევრი და ვერ ეპოვნა,—მერე მოვიდა ჩემთან და მითხრა:—დავით, შენი ჭირიმე, აბაზიანცი უნდა მიპოვნოვო; მეც მაშინვე გავყევ აბაზაძის საძებრად; როგორც იყო, ვიპოვეთ იმის სადგომი, მაგრამ შენი მტერი! სადღაა აბაზაძე!.. ეზოს ყარაულს ვკითხე ესწავლებინა სახლის ნომერი, სადაც გადავიდა, იმან გვიპასუხა: „ჰაი ის არამზადა ისა, ღამე გაიპარა სახლიდგან და ორი თვის ქირაც თან წაიღოვო!“.

აი ასეთი ექიმი ბრძანებულა ბ-ნი აბაზიანცი. ქალაქში რომ ვეღარას გამხდარა, ეხლა სოფლებისთვის მიუმართნია და გლეხების გულის მოსაგებად აბაზიანცის მაგიერ აბაზაძედ გაუცვნია თავი.

ვსთხოვთ პატივცემულ ქალაქის საზოგადოებას, თუ ვინმე იცნობდეს აბაზიანცს, გვაცნობოს იმის სადგური ან ამავე გაზეთის საშუალებით, ან არა და კერძო წერილით, რათა მოვსთხოვოთ ჩვენი ვალითა და ვახშით ნაშოვნი გროშები და ნივთები. თუ მაინცა და მაინც ფულს აღარ დაგვიბრუნებს, რადგანაც ფული ხელის ჭუჭყია და ჭუჭყი ხომ დაბანის დროს შორდება, იმ საცოდაობით ნაშოვნს ნივთებს მაინც რაღას გვემართლება. თუ იტყვის—ჯერ „არ დამიპაჩინკებიაო“ ის ნივთები, არა უშავს რა, ისევ ისე გასაკეთებელი გადმოგვცეს, რადგანაც, ქართული ანდაზისა არ იყოს: „სულ არარაობას ცალ-ულელი ხარი სჯობია“.

თუ კერძო წერილით მოინდომებს ვინმე იმის სადგომის ჩვენებას, ამ ადრესით გვაცნობოს:

ავჭალის ქუჩა ვარშაკიძის სახლი № 34 დავით კალატოზიშვილი.

ყოველივე ამას ვაცხადებ მოტყუებულთა თხოვნით

მეტეხელი გლეხი დავით ივანეს ძე კალატოზიშვილი.

⁂ **ქ. ფოთი. წყალში დამრჩვალი.** კვირას, 6 ივლისს, საღამოს 5 საათზე, მდინარე რიონში დაირჩო აქაური მოვაჭრის შეგირდი. ყმაწვილი, თურმე, რიონში ბანაობდა. დამრჩვალი თუმცა ძლიერ ადრე ნახეს, მაგრამ ექიმი ვერსად იპოვნეს დროზედ და საბრალოს ვერაფერი ეშველა. ფრიად სასურველია, რომ ადგილობრივი პოლიცია განკარგულებას მოახდენდეს, რომ ბანაობის ზოგიერთს ადგილებში, სადაც საშიშოა, აკრძალავდეს ბანაობას. ყველა კეთილ განწყობილ ქალაქებში, სადაც მდინარე არის ხოლმე, ყველგან ზაფხულში პოლიცია შესაფერ განკარგულებას ახდენს მოსალოდნელ განსაცდელის და უბედურების ასაცდენლად.

დვაბზუელი ხელოსანი.

⁂ **ს. კულაში** (იმერეთი). **თავის დაჭრა.** თ. ა. მ—ძეს ჰქონდა თავის ქვრივი დის ქორწინება, რომელზედაც მიწვეულ ყმაწვილებთაგან, რამდენიმე მოქეიფეები, ქორწილში სიამოვნების შემდეგ, გაემგზავრენ მახლობელ სამიკიტნოში, სადაც ვანაგრძეს სმა. ამ მხიარულების დროს ყმაწვილებმა სთხოვეს პ. მ—ძეს (ამფსონი), რომ მას შინ წაეყვანა ძმა-კაცები, რაზედაც პ. დიდი კმაყოფილება განაცხადა. წაბრძანდნენ ყმაწვილები საქეიფოთ, თითქო დანაკლისი უნდა შეესრულებიათ, მაგრამ, საუბედუროთ, პ—ს თავისი მამა ძლიერ მოწყენილი შეეგება და ორიოდე სიტყვა ეკადრებინა შვილისათვის. ამ სიტყვებზედ პ—მ ჯერ რამდენიმე ავეჯულობა დაამტვრია, თურმე, და შემდეგ იძრო ხანჯალი და წვერით მუცელში ჩაიკრა. დამსწრე პირებმა ჭრილობის განმეორება აღარ აცალეს. პ. სასიკვდილოდ არ არის დაჭრილი.

— **მეეტლის უეცარი დაჭრა.** 4 ივლისს, დაბა სამტრედიაში დროს ატარებდა სამი ყმაწვილი კაცი: ორი თ. ა. და რ. მ—ბები და მესამე ა. კ—ანი. სმის შემდეგ, ჩაუჯდნენ მოქეიფე ყმაწვილები მეეტლე კ—ვილს ეტლში და გასწიეს ს. კულაშში. გზაში ა—ს გამოურთმევია კ—ისთვის რევოლვერი და უსვრია. ტყვია მეეტლეს მოხვედრია ბეჭში. დაჭრილი მეეტლე თოფურიას საავადმყოფოში წაიყვანეს, სადაც ტყვია გამოუღიათ და, ამბობენ, სასიკვდილო არა უშავს-რაო.

ია.

⁂ **ს. რუისი** (ქართლი). მკათათვის სამში, საღამოს ჟამზე, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა მოუკიდა ცეცხლი ვასილ ფანიაშვილის ათს ურმამდის სახლის გვერდზე დაბულულებულს ქერს, საიდგანაც ორს წუთში გადვიდა სახლის ყავარზე და ცეცხლმა დაიწყო გუგუნი. ვასილ ფანიაშვილის ჯალაბობის წივილ-კივილზე მოცვივდა დიდ-ძალი ხალხი, რომელნიც ძალიან ეცადნენ გაქრობას. იმ დატანებაზე მამასახლისი მოდენილიყო გორიდან ცხენით და ერთი გლეხკაცი ქვეითი, რომელთაც დაენახათ ვასილ ფანიაშვილის სახლთან ბულულის ძირში, ერთი სპიჩკა გაჰკრა ვიღაცამ და გაუქრა, გაჰკრა კიდევ მეორე, რომლის შემდეგ ავარდა ალი და მოედო ერთს წამს გაფიცხებულს ბულულს. მამასახლისს გამოექანებინა ცხენი და რა დაინახა ბულულიდან ცეცხლი სახლზე გადვიდა, წავიდა ხალხის დასაძახებლად. ფეხით მომავალს გლეხ-კაცს მამასახლისთან ერთად დაენახა, რომ ბოროტ-მომქმედი ჩახტა ბაღის თხრილში და ლობე-ლობე გაიქცა, მაგრამ-კი ვერ ეცნო. პირველად ხალხი შეკრთა. ამ დროს გამოვარდა ხალხიდან ანდრო ბერუაშვილი და შევარდა სახლში, თუმცა კარებების ჩარჩოს ცეცხლი ეკიდა; ამას მიჰყვა ვანო უმეკაშვილი, კოტე ფანიაშვილი, ანდრო მამესწარაშვილი და დაიწყეს სახლიდან ავეჯეულობის ზიდვა. სახურავიდან მოედო ორივ მხრივ აივანებს, სარდაფს, საქათმეს შინაური ფრინველებით სავსეს, სამზარეულოს და საკუჭნაოს. ხალხის მეცადინეობამ ფუჭათ არ ჩაიარა და გადაანარჩუნეს ქერ-ლამფა-იატაკი. შუაღამემდის ძლივს ჩააქრეს, რის შემდეგ მამასახლისმა სამს კაცს დააფასებინა ზარალი (დააფასეს ას-ორმოც თუმნად), შეადგინა ოქმი და გაგზავნა გორის მაზრის ბოქაულთან. იმედია, ეცდებიან, ვისიც ჯერ არს, და იპოვნიან ბოროტ-მომქმედს და მოგვაშორებს იმისთანა ავაზაკს, რომელიც ბუნებისაგანაც დაზარალებულს ხალხს კიდევ ზარალს უმატებს თავისი უგუნური და შურიან ბოროტმოქმედებით. კიდევ კარგი, ქარი რომ არ ჰქროდა, თორემ მეზობლებსაც დიდს ზარალს მისცემდა და იქნება თვითონაც შიგ ამომწვარიყო, რადგანაც ბოროტი მტრები მეზობლებთ უსახლია ვასილ ფანიაშვილს.

რუისელი.

ივერიელი

სასარგებლო ცნობა.

—

მუსიკის სიყვარული და ყოფა-ცხოვრება იტალიელ გლეხებისა. იტალიელი გლეხკაცი განთქმულია თავისის ზრდილობიანობით, პატიოსნებით, უთავა ქცევით და კეთილ-სინიდისიერებით. ამასთანავე ყველაფერში ზომიერი, მომჭირნე და მომთმენი. კვირა-დღეობით ვერსად შეჰხვდებით მთვრალს, გალეშილს კაცს. და თუ ვინმე გამოერია სადმე ასეთი, მაშინვე მეზობლები წყევა-კრულვას აყრიან და არცხვენენ.

მუსიკის სიყვარული ისე დიდად არის იტალიელებში გავრცელებული, რომ თუ ვიოლინობაა საკრავი არა აქვს კაცს, იღებს ჯოხს და ისეთ ნაირად აყოლებს თითებსა და პირს, რომ გაგაოცებთ. იტალიელები ჰგალობენ საქმის დროსა და უსაქმობისას. მაგრამ უფრო-კი ღამ დამობით უყვართ გალობა სიმღერები. რამდენადაც უფრო ახლოვდება დილის რიჟრაჟი, იმდენად უფრო უმატებენ გალობას და ხმა მაღლა გაჰკივიან წკრიალა საგალობლებს. ისინი ჯგუფ-ჯგუფად 20—30 დასეირნობენ ქუჩა-ქუჩა, უკრავენ საყვარლად საკრავებს და ზედ გრძნობათა აღმძვრელს გალობას დაჰკიდებიან, რითაც მოსვენებას არ აძლევენ მძინარე ხალხს. ბევრი პოლიციაშიაც ჩივის ხოლმე, მაგრამ ეს ჩვეულება ისე ღრმად გასჯდომიათ იტალიელებს, რომ მისი აღმოფხვრა არ შეიძლება. ერთხელ პალერმოში ბრძანება გასცეს, რომ აღეკრძალათ ამგვარი ღამით სეირნობა-სიმღერა. ამ განკარგულების შემდეგ პოლიციის მოხელეებმა გზაზედ შეაჩერეს მგალობელთა გუნდი, იმათ ეს შეურაცხყოფად მიიღეს და მაშინვე ხანჯლები იძრეს. პოლიციის მოხელეებმაც, რასაკვირველია, იარაღი იხმარეს, გაჩნდა ერთი ომ-ტრიალი, რის შემდეგაც აღმოჩნდა რამდენიმე მოკლული და დაჭრილი ორთავ მხრიდამ. უნდა სთქვას-კი კაცმა, რომ ამდენი წრეს-გადასული გალობა სწორედ რომ ასაკრძალია და არა სასიამოვნო. ზოგჯერ თვით სასახლის გვერდითვე შუაღამისას ისმის გაუთავებელი ბრახუნი საკრავებისა და განუწყვეტელი გალობა. იტალიაში ესრედ წოდებული სერენადაც იციან. რამდენიმე კარგი მომღერალი თავს იყრის და სამიჯნურო ლექსებით ქება-ტრფობას ასხამს რომელსამე ახალგაზრდა ქალიშვილს, რომლის გულის დამონებაც განუზრახავს რომელსამე მათგანს.

იტალიელები დიდს ქალაქებში მრავლად ჰყრიან ეკლესიებისა და შადრევნების მახლობლად და უსაქმურად დროს ატარებენ. აქედამ უცხოელებს ის დასკვნა გამოჰყავდათ, ვითომ იტალიელები ზარმაცი, მცონარა ხალხია და ასე გულზე ხელ-დაკრეფილნი მიტომა სხედანო. ასეთი შეხედულება იტალიის ხალხზე სრულიად შემცდარია. თუმცა მათხოვარა და უსაქმური ხალხი ბევრია იტალიაში, მაგრამ ეს იმითი აიხსნება, რომ სამუშაოს საშოვარი არსად არის და ძალა-უნებურად უსაქმურადა სხედან. მაგრამ საცა-კი იტალიელი ხელს მოჰკიდებს, სასწაულებრივს ძალას გამოიჩენს ხოლმე. ავიღოთ თუნდა კუნძული კაპრი: რამდენისამე ათის წლის წინად ცალიერს ქვა-ღორღს წარმოადგენდა იგი, მაგრამ ეხლა იტალიელებმა დაუღალავის შრომა-მუშაობით მშვენიერს ვენახებად აქციეს. სწავლულთა თქმით, არც ერთს ხალხს არ ძალ-უძს იმდენი შრომა და ჯაფა, გაჭირვება და ყოველგვარი დაბრკოლების გადალახვა შესძლოს, როგორც ქედ მოუდრეკელს იტალიელსო.

ამავე დროს იტალიელები მეტად ბინძურები არიან, რაიც, ერთის მხრით, საშინელს სიღატაკეს უნდა მიეწეროს. აღარაფერს ვიტყვით მისს გაქონილს ტანისამოსზე, მისს მუდამ მურალს პირზედ, რომლისგანაც ხახვისა და ნივრის სუნი ამოსდის, ტანისამოსი სავსე სხვა-და-სხვა მგბენარით, რომლის წარმოდგენაც-კი მძნელია. სახლის დერეფანში მუდამ ჰხედავთ წამოჯდომილ იტალიელ ქალიშვილებს, რომელნიც თავს უსილავენ ერთმანერთს. მუშა ხალხს და მენავეებს არა იშვიათად დაინახავთ ზღვის პირას ქვიშაზე მგორავს. მნახველი გაოცდება პირველს შეხედვაზე ეს ხალხი რას შვრებაო, იტყვის. რას შვრება და მგბენარს მეტის მეტად შეუწუხებია საბრალონი, ეხლა მიწაზე დაყრილან და ზედ გორაობენ, იქნება ცოტა მაინც არის გაგვეცალოსო. მრავალს ასეთს გულის ამრევს სიბინძურეს ნახავთ იტალიელების ცხოვრებაში.

საქმიო ცნობა.

—

თვალების ტკივილი სალდათებში. ყაზარმული ცხოვრების პირობები მალიან ხელს უწყობენ თვალების ტკივილების გავრცელებას სალდათებში. ეგრედ წოდებული ტრახომა (ჯიბლიბო შიგ ქუთუთოში) სალდათებში ეპიდემიურად მძვინვარებს რუსეთის ყაზარმებში. თვალით ავადმყოფთა პროცენტი რუსეთის სალდათებისა ადის 25—30%-მდე. ბრძოლა ამ ავადმყოფობასთან მალიან გასაჭირია, თურმე. უფრო მარგებელ საშუალებად ამის საწინააღმდეგოდ მიღებულია, რომ მოაშორონ თვალით ავადმყოფი სალდათები ყაზარმებს, გადიყვანონ განსაკუთრებულს როტებში და ესკადრონებში, სადაც გამართულ უნდა იქმნენ მათთვის ცალკე პირის საბანები, ჰქონდეთ ბევრი სუფთა წყალი და სუფთა პირის საწმენდები.

წვრილი ამბავი

—

მტრედების დოღი. ამას წინად რუსეთის პირუტყვების და მცენარეების მოშენების საზოგადოებამ მოსკოვში გამართა მტრედების საფოსტო დოღი. მანძილი 228 ვერსი იყო დანიშნული. გაშვებულ იქმნა 37 მტრედი. თუმცა ამინდი ხელს არ უწყობდა სიცხით და პირ-ქარით, მაინც უსწრაფესმა მტრედმა საათში იფრინა $45\,^{3}/_{5}$ ვერსი, ე. ი. ზედ მიწევნით 228 ვერსს ხუთი საათი მოანდომა.

ნიხრი.

ძროხის ხორცი პირველის ხარისხისა გირვანქა	8 კაპ.
სუკი—გირვანქა	12 —
ცხვრის ხორცი გირვანქა	8 —

ამიერ კავკასიის რკინის გზა

მატარებლის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში სალ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ,

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დილისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში სალ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დილისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით, გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივი გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუალამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

რუსულ-ქართული
ლექსიკონი
თ. სახოკიასი
ფასი ერთი აბაზი
იყიდება საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში.
(8—4)

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი“

შეიძლება დაიზღვას თანხა განსაზღვრულის ვადით, ასე რომ იმ პირს, რომელმაც დაიზღვია თანხა, ანუ პოლისის პატრონს, რაკი პირობაში ნაჩვენები განსაზღვრული ვადა დასრულდება, მიეცემა ფული სრულიად; ხოლო, უკეთუ დაზღვეული პირი გარდაიცვალა პირობაში აღნიშნულ ვადამდე, მაშინ მემკვიდრენი ფულს აღარ შეიტანენ და დაზღვეულ თანხას ვადაზედ უნაკლულოდ მიიღებენ და, გარდა ამისა, საზოგადოება აძლ[illegible] ყოველ წლიწადს პოლისის პატრონს სარგებელს 5% დაზღვეულ[illegible] თანხიდამ.

მაგალითი: მამა, რომელიც 30 წლისაა, ვსთქვათ, აზღვევს პატარა შვილისათვის თანხას 5,000 მანათს, იმ პირობით, რომ იგი თანხა შეიტანოს 21 წლის განმავლობაში.

ამ დაზღვევაში იმან უნდა იხადოს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ,—21 წლის განმავლობაში,—74 მანათი და 50 კაპ.

თუ ვინიცობაა მამა მოკვდა, თუნდაც დაზღვევის პირველ წელიწადსვე, შვილს ეძლევა 20 წლის განმავლობაში ყოველ წლივ სარგებელი 250 მანათი და, გარდა ამისა, რა დადგება პირობაში აღნიშნული ვადა, დაზღვეული თანხა 5.000 მანათიც მიეცემა.

უკეთუ დაზღვეული პირი იცოცხლებს აღნიშნულ ვადაზედ მეტს, მაშინ დაზღვეული თანხა ეძლევა მას, ანუ პოლისის პატრონს.

დაზღვევა მიიღება ამიერ-კავკასიის უმთავრეს აგენტის საოლქო სამმართველოში **თევდორე ალექსანდრეს ძე ივანოვთან**, ქ. ტფილისში, ერევნის მოედანზე, ველიამინოვის ქუჩის და სომხების ბაზრის კუთხეში, № 2.

ტელეფონი № 51.

Страховое общество
„ЯКОРЬ“

Страхованіе принимается въ Окружномъ управленіи Главнаго Агента Закавказскаго края ФЕОДОРА АЛЕКСАНДРОВИЧА ИВАНОВА.

Г. Тифлисъ, Эриванская площадь: на углу улицъ Вельяминской и Армянскаго базара, д. № 2.

Телефонъ управленія № 51. (100—36)

ბუღალტერიის შესწავლა

ვისაც საფუძვლიანად ჰსურს შეისწავლოს

სრული კურსი ბუღალტერიისა **სამის თვის** განმავლობაში, შეუძლიან მიჰმართოს ტფილისის საურთიერთო სამეურნეო ბანკში უფროსს ბუღალტერს **ი. ია. ბრონ ფონ ბრენნერს.**

ფასი მთელის ბუღალტერიის საფუძვლიანად შესწავლისა **40** მან.

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,

состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:

1) Бухглтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой промышленности.
2) Коммерческой риѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики н счетохъ,
4) Коммерческой эконміи,
5) Тортовыхъ и вексельныхъ узаконеній,—преподаетъ И. Я. БРОНЪ ФОНЪ-БРЕННЕРЪ, гл. бухгалтеръ Тифл. общ. взаим. сел.-хоз. кредита.

Плата за весь курсъ 40 руб.

Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ, въ теченіе 2-хъ часовъ, по вечерамъ. Начало занятій—1-е число каждаго мѣсяца. Спросить: Михайловская, 71. ттестаты за успѣшныя занятія реальнаго училища и школы садоводства. (100—51)

Магазинъ
О. ЗИБЕРТА
Дворцовая.

равюры, фотографии и платинотипы съ произведеній ИЗВѢСТНЫХЪ ДОЖНИКОВЪ фирмы Буссо, Валадонъ и Кº въ Парижѣ, а также Берлинскаго и Мюнхенскаго фотографич. обществъ.

ЧЕКАННОЙ РУЧНОЙ РАБОТЫ
СЕРЕБРЯННЫЯ ВЕЩИ фабрики МЮЛЛЕРЪ въ РИГѢ.

Большой выборъ: *альбомовъ дорожныхъ и дамскихъ* НЕССЕСЕРОВЪ, БЮВАРОВЪ, ПОРТЪ-МОНЭ, ПОРТФЕЛЕИ и т. под., МЕЛЬХІОРОВЫХЪ ВЕЩЕи издѣлій изъ *слоновой кости* и т. д. и. т. д.

Заведеніе для переплетныхъ и галантерейныхъ, какъ художественныхъ, такъ и простыхъ работъ.

(50—48)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюля 1897 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია